საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამოხსენება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენა მოხდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენა დაიწყო საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, 2024 წლის 1 მარტს (ბრძანების N-46.46240612), რომლის მიხედვითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც განსაზღვრული იყო პრიორიტეტების შედგენისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 15 აგვისტოს ბრძანების (ბ.46 46242288) თანახმად დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამები (ქვეპროგრამები) ღონისძიებები და მათი მიზნის აღწერა, საშუალოვადიანი და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები გათვალისწინებული იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ, მიმდინარე წლის სექტემბერში განხილული იქნა მერიის მიერ მომზადებული პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც შემდგომ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებთ, წარმოდგენილი იქნა საკრებულოში 2025 წლის ბიუჯეტთან ერთად. ამ დოკუმენტით განსაზღვრული იქნა 6 პრიორიტეტი, შესაბამისი პროგრამებით და ქვეპროგრამებით.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის შესაბამისად, საფინანსო სამსახურის მიერ მოხდა საბიუჯეტო განაცხადების და მომუშავეთა რიცხოვნობის საორგანიზაციო ზღვრული მონაცემების მიღება საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე უხლის შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს მიერ 5 ოქტომბრამდე მუნიციპალიტეტს მიეცა ფინანსური დახმარებისა და მიღებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები.

კერძოდ:

2025 წელს პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 19% შეადგენს 1 890 500.0 ათას ლარს, საიდანაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2025 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 0,53%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 10 040.1 ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წელს ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 2 550.0 ათასი ლარი და შესაბამისად სულ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის 2025 წელს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 12 590.4 ათას ლარს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საბიუჯეტო კოდექსის, საკრებულოს რეგლამენტის თანახმად მ/წ ნოემბერში მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს წარმოუდგინა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის პროექტი თანდართული მასალებით.

წარმოდგენილი ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 19 431.7 ათასი ლარს.

მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლები - 12 590.4

სხვა შემოსავლები - 5 341.3

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი - 500.0

მიზნობრივი ტრანსფერი - 178.1

ნაშთი - 1000.0

გადასახდელები

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა - კოდი 01.00. – 6 161.5

მათ შორის სარეზერვო ფონდი 150.000

-ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 02.00 - 1 782.5

-დასუფთავება და გარემოს დაცვა - 03.00 - 2 194.7

-განათლება - 04.00 - 3 215.0

-კულტურა, რელიგია, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 05.00 - 4 526.0

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 06,00 - 1 652.0

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78 - ე მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი მიმდინარე წლის 16 ნოემბერს გამოქვეყნდა საჯარო განხილვისთვის.

საბიუჯეტო კოდექსის 78 - ე მუხლის შესაბამისად მოხდა ბიუჯეტის პროექტის განხილვა კომისიებსა და ფრაქციებში, გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას.

(შენიშვნები და წინადადებები თან ერთვის 2 გვერდი).

მერიის მიერ გათვალისწინებული იქნა შენიშვნებისა და წინადადებების უმრავლესობა (თან ერთვის 3 გვერდი) მ/წ 8 დეკემბერს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი წარედგინა საკრებულოს.

საკრებულოს მიერ გაგზავნილი შენიშვნებიდან ერთერთი მთავარი საკითხი იყო ის, რომ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში შემოსულობები არარეალურია, კერძოდ:

სხვა შემოსავლები განსაზღვრული იყო 5 343.1 ათასი ლარით, მაშინ, როცა გასულ წლებში რეალურად არ იყო შემოსული 2 000. ათასზე მეტი. აქედან გამომდინარე, დასაზუსტებელი იყო შემოსავლები და ბიუჯეტი იყო დასაბალანსებელი.

ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 3 დეკემბრის წერილის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში პროგნოზირებული დღგ შეადგენს 20%-ს, რის საფუძველზეც გაიზარდა დღგ-ს გადასახადი და იგი გახდა 10 802.5 ათასი ლარი, ხოლო ქონების გადასახადი განისაზღვრა 2 550.0 ათასი ლარით. შესაბამისად, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 13 352.5 ათასი ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 762,0 ათასი ლარით მეტია. ამავე დროს, მერიის მიერ შემცირებული იქნა სხვადასხვა ხარჯები 895,0 ათასი ლარი, რამაც გამოიწვია მთლიანობაში დეფიციტის შემცირება 1 657,0 ათასი ლარით.

მ/წ 12 დეკემბერს ადმინისტრაციულ წარმოებაზე დადგა 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოს სხდომაზე. 2024 წლის 25 დეკემბერს განხილული იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე და დამატებით გამოთქმული იქნა შენიშვნები:

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანადაფინანსებას ექვემდებარება სოციალური პრობლემების გადაწყვეტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების მიზნით, იურიდიული პირების მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები, რომლისთვისაც, საერთო ჯამში, საბიუჯეტო ასიგნებების სახით გათვალისწინებულია 260.0 ათასი ლარი. ბიუჯეტის გამჭირვალობისათვის, საჭიროა წარმოდგენილი იქნას თითოეული პროგრამის დაფინანსების ხარჯები;

2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში, მუხლი 2. ნაშთის ცვლილება, ჩამოყალიბდეს 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

შენიშვნების შესაბამისად, ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში, კერძოდ, ნაშთის ცვლილება 1000.0 ათასი გახდა 10,0 ათასი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება გახდა 1 490.0 ათასი

ლარი (მერის და მერიის სამსახურების მიერ აღნიშნული იქნა, რომ 1000.0 ათასი ლარი შემოვა კურორტ ბახმაროში უძრავი ქონების (მიწის) პრივატიზაციიდან.

მერიის მიერ დამატებით შემცირებული იქნა საქონლისა და მომსახურების მუხლი, სხვადასხვა საბიუჯეტო ასიგნებებში, საერთო ჯამით 280,0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის დეფიციტის აღმოსაფხვრელად, მერიამ მიაღწია შეთანხმებას ფინანსთა სამინისტროსთან, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ, დამატებით მოხდება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფა (დაახლოებით 1 400.0 ათასი ლარი), ასევე მოხდება შემოსულობების ხარჯზე დამატებითი შემოსავლების ზრდა (დაახლოებით 200.0 ათასი ლარი).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2025 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 18 434.8 ათასი ლარით, მათ შორის:

საგადასახადო შემოსავლები - 13 352.5 ათასი ლარი;

სხვა შემოსავალი - 3 404. 2 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლება - 1 490.0 ათასი ლარი;

ტრანსფერი - 178.1 ათასი ლარი;

ნაშთი - 10.0 ათასი ლარი;

გადასახდელები:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა კოდი 01.00 – 6 061.5 ათასი ლარი;
  მათ შორის, სარეზერვო ფონდი 150.0 ათასი ლარი.
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია კოდი 02.00 – 1 682.5 ათასი ლარი;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა კოდი 03.00 – 1 659.9 ათასი ლარი;
- განათლება კოდი 04.00 – 3 215.0 ათასი ლარი;
- კულტურა, რელიგია, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები კოდი 05.00 – 4 115.8 ათასი ლარი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა კოდი 06.00 – 1 700.1 ათასი ლარი;

ნოემბერში წარმოდგენილ და შემდგომ დეკემბერში შემოტანილ ბიუჯეტებს შორის სხვაობა შეადგენს 996.9 ათას ლარს.

- ჩოხტაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არა არის ასახული წინა წლებში წარმოდგენილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდისათვის საბიუჯეტო ასიგნებები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მხარს უჭერს 2025 წლის ბიუჯეტის პროექტს და საკრებულოს მიმართავს აღნიშნული პროექტის მხარდასაჭერად.